

David Merkviladze

Georgians in Byzantine Empire in XI century
(Grigol Bakurianis-dze)

Georgia, an extreme East fort post of Christianity had formed close spiritual and political ties with its Christian neighbor and a logical natural ally – Byzantine Empire, which on its part represented the main abutment of the Eastern Christianity for centuries and was one of the mightiest powers in the world of that period.

Many Georgians visited the splendid city of Constantinople and other cultural-political centers of the Empire with different aims and missions: envoys of kings' and ecclesiastic hierarchies, merchants loaded with Eastern goods and those who wished to become monks in foreign cloisters. It happened that some Georgians also settled in this powerful state. They pursued political careers of their own and worked hard to fulfill their dreams. One of these persons was Grigol Bakurianis-dze, who became a very influential and important figure in the Byzantine Empire at the second half of the XI century.

Grigol Bakurianis-dze was born in the family of Bakuriani, who was Eristavt-eristavi (province Governor) of Tao. In the opinion of A. Shanidze, he even could be a descendant of the Bagrationi royal family [7:9,13]. From the beginning of the century, Grigol's native Tao – the extreme South province of Georgia – became a part of the neighboring Byzantine Empire. Partly because he and his younger brother, Abaza lost their father in early childhood, they decided to test their skills and abilities by joining the Imperial army. Ferocious in battles and talented in strategy, the young Georgian noblemen made quick and successful military career. Grigol was especially successful in this field. Initially, with a sword in his hand, he fought to carry out ambitious aspirations of Constantinople in the Asian part of Byzantium. The Imperial court valued his valor: Grigol was granted the position of an army commander in the Eastern region of the Empire and at the same time received the title of Sebastos.

Thanks to his high military position, Grigol Bakurianis-dze was able to influence the outcome of the battle between the pretenders for the Caesar's throne. Accordingly, his support to Alexis Komnenos, later the founder of the Komnenos dynasty, contributed to the latter's ascension to the throne in 1081. Soon, by the new Emperor's order, the famous commander, Grigol Sebastos was promoted to the position of "Grand Domesticos of

the West” (Megas Domesticos). It should be noted that there were only two Great Domesticos or Commanders in the whole Empire: one in charge of the Eastern regions (i.e. territories in Asia), and the other in charge of the Western regions (i.e. territories in Europe) of the Empire. From now on the Georgian Commander was responsible for the defense of Imperial military-strategic interests in Europe. It was already the pick of military career in general.

Grigol fought loyally and devoted his entire life to the prosperity and might of the Byzantine Empire. As he said himself, he together with other Georgians shed lot of blood for “gain and defense” of this state. Under his command the Byzantine army had won many victorious battles against different enemies of the Empire. Already a famous commander, Grigol mentioned with particular satisfaction that he managed to defeat and smash “the people of Pachaniks (Pecheneg), faithless and quite strong enemies of Christians and Greeks”, and these victories “will be remembered for a long time after my death.”

In spite of such loyalty to a foreign power, Grigol never forgot the interests of his own motherland. In Tao, near a place called Bana he personally met with the king of Georgia George II and ceded him the city-fortress of Kari (today city of Qars, in Turkey) together with its bordering region. The district, previously situated within the borders of Byzantine Empire, had been conquered by Turk-Seljuks, and from there they were driven out by George II in 1073. Presumably, this gesture made by Grigol implied that Byzantine had recognized this province as a part of Georgia [1:19; 3:283-285]. “The king George went to his land of Tao, and reached Bana. And the commander of the East, Grigol Bakurianis-dze, who owned Oltisi, Karnu-town, and Kari, came before them there. They rejoiced and relaxed. And he ceded to King George the city-fortress of Kari with the bordering lands, and then they parted” [8:318].

Grigol Bakurianis-dze was surrounded by many Georgian warriors also serving in the imperial army in different ranks and positions. “Grand Domesticos” was always very attentive to his countrymen. He considered it his duty. It was this aspect of his personality that earned him in his own motherland the name “the host of all Georgians”¹.

Grigol intended to gather together his countrymen after their service in the army. For them as well as for his personal desire to have a sanctuary and a crypt for his bones, he together with his brother founded a cloister

¹ So is he mentioned in the Georgian manuscripts [see: 4:256].

with their own funds, earned with their blood and sweat. Being an owner of numerous estates in various parts of the Byzantine Empire, he chose a place distinguished for its beauty near Philippoupolis (presently the city of Plovdiv).

“I had great wish from the beginning of my service in the East and before moving to the West to build a church and a monastery for burial and for a resting place of my errant bones; but many of my sins and obligations kept me away and I could not fulfill my wish until now” [7:68] – reveals to us Great Grigol his long time desire.

Thus, a foundation was laid to the Georgian monastery in Balkans that received its name Petritsoni according to the nearby village (it is known that this toponym derives from the Bulgarian “Petrich”).² From now on, the members of the Georgian community, once serving in the Byzantine army, continued to live as a new entity that of a monastery brotherhood. Those warriors who once smashed the enemies of the Christian Empire were now wearing monk’s gowns having transformed themselves into servants of God. Instead of swords and spears now they had crucifixes and gospels, while their loud battle cry was replaced with silent prayers and graces. But what was the most important, Georgians driven to the foreign country for various reasons, could stay together as a community that survived for centuries: even now their bones remain side by side in their graves. Thus, Grigol fulfilled his desire.

The fact that the Monastery was built exceptionally for Georgians was stressed several times in the monastery regulations or in typicon that was written by the founder of the monastery himself in 1083, right after the completion of its building. It is important, that the typicon was written both in Greek and Georgian, and Grigol, who cared very much for his countrymen, explains it this way: “The monks of the monastery are like me, Georgians and they cannot read Greek, but can read this typicon in Georgian and take it to heart” [7:126]. In addition, Grigol made sure that the monastery would stay under Georgian management, not allow foreigners to take over its control even in future. He made special provisions that only one Greek would be allowed to serve in the monastery and he should be a clerk to facilitate correspondence between the monastery and the secular government. The regulations (typicon) strictly forbade presence of a Greek priest in the monastery.

¹ About the monastery name see [2:45; 7:245; 4:260; 5:108, 119; 6:33].

Among all written regulations of Georgian monasteries, the typicon of Petritsoni Monastery is the only one that miraculously survived vicissitudes of time and perfectly reached the present days.

The Great Commander took good care of the monastery's economic welfare and its future. He built a hospital, three inns in different places, acquired and donated several estates - villages with peasants, pastures, vineyards, arable lands, castles, forests, a lake for fishing, and a mill. He also supplied the monastery with Georgian theological books and precious church items.

“This holy Monastery of Georgians”: was dedicated to Virgin Marry. The main temple was also built in the name of Our Lady as well. The other two churches carried the names of John the Baptist and St. George. In addition to the churches, cells for monks and a warehouse were also built. In short, everything was prepared so that the monastery could function independently. On a nearby slope Grigol built one more two-storey building. There was a church on the second floor and a crypt on the first floor. This is the only building of the monastery that survived to the present in its original form. On the surviving ancient frescos inside the church, one can clearly see the images of the *kitors*’, the founder of the monastery and his brother Abaza Magistros.

Grigol Bakurianis-dze had also founded a school (seminary) in the Petritsoni Monastery for Georgian youth to educate them for their future cultural and educational activity. In the seminary a respected, well educated monk would be selected to teach the young generation. The pupils were fully provided in the monastery with meals and clothes; their teacher was paid from the monastery funds.

Thus, the great Georgian man who served all his life abroad in foreign country, lived his life honorably and paid his debt to his motherland as well. In 1086, not long after founding the Monastery, Grigol Bakurianis-dze was killed in the battle against the Pechenegs, the enemies of the Byzantine Empire. According to his will, he was buried in his Monastery crypt, where he himself had buried his younger brother Abaza not long before.

The famous Commander, who served all his life to the cause of strengthening the military might of the Byzantine Empire, who had achieved everything a soldier could dream about - the highest army ranks and positions, name, power and glory, and who later died honorably, proudly declared: “Because we are Georgians, firms as our ancestors and brought up with skills of martial arts, we have been accustomed to life's difficulties while living in the lay society and now we have decided to change our way of

life in order to become monks and live by canonic regulations far from the lay world” [7:62].

The Petritsoni monastery of Georgians founded by Grigol Bakurianisdze was a Georgian cultural center abroad for centuries. Like in other Georgian religious temples, here too, a lot was done to promote and strengthen Georgian and Byzantine ties in the field of education and culture.

“This Petritsoni Monastery became one of the major centers that cultivated Georgian literature, especially in the eleventh-twelfth centuries. Here, a very special literary school was developed, that is known as the Petritsoni School. In this school a special attention was given to works on dogmatic and philosophical writings, which contributed to creating Georgian philosophical language and terminology” – this is how Acad. K. Kekelidze defined its cultural importance [2:46]. “Petritsoni literary and philosophical school brought Georgian literature closer to the Byzantine; with its translations of dogmatic and philosophical works, and extensive commentaries, it contributed greatly to the development of Georgian philosophical thought” – wrote Prof. L. Menabde [4:271]. The role of the Petritsoni Monastery is quite important in the history of Bulgaria as well and it is pointed out in the country’s historiography [9:15].

Today in Bulgaria, the Petritsoni Monastery is known under the name of the Bachkovo Monastery, deriving from the name of a near-by village and is situated some thirty kilometers away from the Bulgarian city of Plovdiv, in the beautiful valley of the river Asenits. The work of the Georgians’ is still remembered here.

Today, even after a millennium, the sense of respect to the merits of their illustrious ancestors brings many Georgians to the Monastery and inspire them to pray and lit a candle at this holy place. And once again Georgian words resound within the monastery walls and prayers are said to the souls of Great Grigol, his brother Abaza and their comrades-in-arms. Amen!

References

1. M. Kakhadze, Georgians in the Political and Cultural Life of Byzantine, Tbilisi, 1954 (in Georgian).
2. K. Kekelidze, A. Baramidze, The History of the Ancient Georgian Literature, vol. I, Tbilisi, 1954 (in Georgian).
3. V. Kopaliani, Political Relations of Georgia and Byzantine during the years 970-1070, Tbilisi, 1969 (in Georgian).
4. L. Menabde, Centers of the Ancient Georgian Literature, vol. II, Tbilisi, 1980.
5. R. Siradze, From the History of Bulgarian-Georgian-Byzantine Relations, "Tsiskari", 1974, №10 (in Georgian).
6. A. Urushadze, Centers of Georgian Culture in Bulgaria, Tbilisi, 1969 (in Georgian).
7. A. Shanidze, Georgian Monastery in Bulgaria and its Typicon (Georgian version of the typicon), Tbilisi, 1971 (in Georgian).
8. "Kartlis Tskhovreba" ("Life of Kartli") by a historian of David Agmashenebeli (David the Builder,); the text is verified according to all manuscripts by S. Kaukhchishvili, Tbilisi, 1955 (in Georgian).
9. A. Vasiliev, The Bachkovo Monastery, Sophia, 1971 (in Bulgarian).

დავით მერკვილაძე

**ქართველთა მოღვაწეობიდან XI საუკუნის
ბიზანტიის იმპერიაში
(გრიგოლ ბაკურიანის-ძე)**

საქართველოს, როგორც საქრისტიანოს უკიდურეს აღმოსავლეთ ფორპოსტს თავისთავად ჩამოუყალიბდა მჭიდრო სულიერი და პოლიტიკური კავშირი თავის ერთმორწმუნე მეზობელთან და ერთგვარ ბუნებრივ მოკავშირესთან – ბიზანტიის იმპერიასთან, რომელიც თავის მხრივ, საუკუნეთა მანძილზე აღმოსავლური ქრისტიანობის მთავარ ბურჯსა და ერთ-ერთ ყველაზე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა იმდროინდელ მსოფლიოში.

მრავალი ქართველი სტუმრობდა დიდებულ ქალაქ კონსტანტინეპოლსა და იმპერიის სხვა კულტურულ-პოლიტიკურ ცენტრებს განსხვავებული მიზნებითა და მისიით: მეფის ელჩები თუ სასულიერო იერარქები, აღმოსავლური საქონლით დატვირთული ვაჭრები თუ მონაზვნობის მსურველნი უცხოეთის სავანეებში. თუმცა ისეც ხდებოდა, რომ ზოგიერთი ქართველი სამუდამოდ მკვიდრდებოდა ამ ძღვევამოსილ სახელმწიფოში, უცხო ქვეყანაში ქმნიდა საკუთარ პოლიტიკურ კარიერას და ამრიგად, ცდიდა და ხორცს ასხამდა საკუთარ შესაძლებლობებს. მათ შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს დიდგვაროვნული წარმომავლობის გრიგოლ ბაკურიანის-ძეს, რომელიც მეტად გავლენიან და მნიშვნელოვან ფიგურად ჩამოყალიბდა XI ს-ის II ნახევრის ბიზანტიის იმპერიაში.

გრიგოლ ბაკურიანის-ძე ტაოელი ერისთავთ-ერისთავის ბაკურიანის ოჯახში დაიბადა. აკაკი შანიძის აზრით, შესაძლოა, იგი ბაგრატიონთა საგვარეულოსაც კი განეკუთვნებოდა [7:9;13]. გრიგოლის მშობლიური ტაო – საქართველოს უკიდურესი სამხრეთი პროვინცია – ამ საუკუნის დასაწყისიდანვე მეზობელი ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. გარკვეულწილად ამ ვითარებამაც განაპირობა, რომ მამით ნაადრევად დაობლებულმა გრიგოლმა და მისმა უმცროს ძმამ – აბაზამ თავიანთი უნარისა და შესაძლებლობების მოსინჯვა იმპერიის სამხედრო სამსახურში გადაწყვიტეს. ბრძოლაში შეუპოვრობამ და სტრატეგიულმა ნიჭმა ახალგაზრდა ქართველი წარჩინებული გვარიშვილების წარმატებულ სამხედრო კარიერას სწრაფად გაუკვალა გზა. განსაკუთრებული აღმასვლა კი ამ მიმართულებით გრიგოლს ხვდა წილად. თავიდან იგი ბიზანტიის აზიურ ნაწილში მრავალ ადგილას ხმლით ხელში ახორციელებდა ძღვევამოსილი სახელმწიფოს ამბიციურ მისწრაფებებს. საიმპერა-

ტორო კარმა დაუფასა ამაგი ქართველ წარჩინებულს: გრიგოლმა იმპერიის აღმოსავლეთის სარდლის თანამდებობაც მოიპოვა და ამასთანავე გამოორჩეული, სევასტოსის ტიტულიც მიენიჭა.

გრიგოლ ბაკურიანის-ძის, როგორც ასეთი მაღალი თანამდებობის სამხედრო პირის პოზიციას უკვე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეეძლო კეისრის ტახტისათვის პრედენტენტა შორის გაჩაღებულ ბრძოლაში. შესაბამისად, მისმა მხარდაჭერამ დიდი ნვლილი შეიტანა კომნენოსთა დინასტიის საფუძვლამყრელის, ალექსი კომნენოსის მიერ იმპერატორის ტახტის მოპოვებაში (1081 წ.). მალე იმპერატორის ბრძანებით, სახელმძღვანელო სარდალი, გრიგოლ სევასტოსი „დასავლეთის დიდ დომესტიკოსად“ ინიშნება. აღსანიშნავია, რომ დიდი დომესტიკოსი ანუ მთავარსარდალი სულ ორი იყო იმპერიაში: აღმოსავლეთისა ანუ აზიისა და დასავლეთისა ანუ ევროპისა. ამრიგად, ქართველ მხედართმთავარს ამიერიდან იმპერიის სამხედრო-სტრატეგიული ინტერესების დაცვა-გატარების ხელმძღვანელობა ევროპაში დაევალა. ეს უკვე სამხედრო კარიერის მწვერვალი იყო.

გრიგოლმა მთელი თავისი ძალ-ღონე ბოლომდე ერთგულად შეაღია ბიზანტიის იმპერიის ძლიერების განმტკიცებას. როგორც თავად ამბობს, მას სხვა ქართველებთან ერთად სისხლიც ბევრი დაუღვრია ამ სახელმწიფოს „სარგებელისა და მსახურებისათვის“. მისი სარდლობით ბიზანტიელთა ჯარმა არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა სხვადასხვა მტერზე. უკვე სახელგანთქმული სარდალი განსაკუთრებული სიამაყით შენიშნავს იმის შესახებ, რომ დაამხო და მოსრა „უშჯულოდ და ფრიად მძლავრი მტერი ქრისტიანეთა და საბერძნეთისაჲ, ნათესავი პენინავთაჲ“ (ანუ პაჭანიკები), რაც ვგონებ, „შემდგომად აღსრულებისა ჩემისა მრავალთა შინა ჟამთა იხსენებოდის“ კიდევო. მიუხედავად ასეთი თავდადებისა უცხო სახელმწიფოსადმი, გრიგოლს არც საკუთარი სამშობლოს ინტერესები არ დარჩენია ყურადღების მიღმა. იგი ტაოში, ბანასთან პირადად შეხვედრია საქართველოს მეფეს, გიორგი II-ს და მისთვის გადაუცია კარის ციხე-ქალაქი (ამჟამინდელი ქ. ყარსი თურქეთში) მისი მიმდებარე ოლქითურთ (მანამდე ბიზანტიის საზღვრებში მოქცეული ეს მხარე თურქ-სელჯუკებს დაეკავებინათ, საიდანაც ისინი გიორგი II-ს 1073 წელს განედევნა. სავარაუდოდ, გრიგოლის ეს ნაბიჯი ბიზანტიის მხრიდან ამ მხარის საქართველოს შემადგენლობაში აღიარებას მოასწავებდა [I:19; 3:283-285]). „წარვიდა მეფე გიორგი მამულსა თჳსსა ტაოს, და მოვიდა ბანას. ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორავარი აღმოსავლელისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და კარ-

ნუ-ქალაქი, და კარი, და დიდად განიხარეს და განისუენეს. და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა, და განიყარეს“ [8:318].

გრიგოლ ბაკურიანის-ძის ირგვლივ მრავლად იყვნენ შემოკრებილნი იმპერიის სამხედრო სამსახურში ჩამდგარი სხვადასხვა წოდებისა და თანამდებობის ქართველი მეომრები. „დიდი დომესტიკოსი“ თანამემამულეთადმი ყოველთვის განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა. ეს მას საკუთარ ვალდებულებად ჰქონდა შერაცხილი. ამ თვისებათა გამო იყო, რომ თავის სამშობლოში გრიგოლ დომესტიკოს „ყოველთა ქართველთა მასპინძლად“ წოდების პატივი ხვდა წილად³. გრიგოლს განზრახული ჰქონდა, მათთვის თავი ერთად მოეყარა სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგაც. სწორედ ამ მიზნით და, ცხადია, ასევე საკუთარი სულის საოხად და ძვალთა განსასვენებლად, გრიგოლი საკუთარი დაულალავი მკლავითა და სისხლით მოპოვებული საფასით აარსებს ქართველთა სავანეს უცხოეთის ცის ქვეშ. სხვადასხვა ქვეყანაში მრავალი მამულების მფლობელმა დიდი იმპერიის საპატიო მოხელემ საამისოდ თვალი დაადგა ქ. ფილიპოპოლის (ესაა თანამედროვე ქ. პლოვდივი) სიახლოვეს თვალისა და გულისათვის საამო ბუნებით გამორჩეულ მიდამოს.

„ნადიერებაჲ მაქუნდა, პირველითგან განვიზრახვედ აღმოსავლეთსვე ყოფასა ვიდრე დასავლეთს დამკჳდრებამდე აღშენებასა ეკლესიისა და მონასტრისასა სამარხოდ და განსასუენებლად ბრალეულთა ძუალთა ჩემთა, გარნა მრავალთა მიერ ცოდვათა ჩემთა და ცვალებისაგან ამის სოფლისა საქმეთაჲსა და ჩემისაგან სანუთროჲსა ზრუნვათა შექცევისა და სიყვარულისაგან ვერ ღირს ვიქმენ აღსრულებლად გულის ძრახვასა ჩემსა ვიდრე აქამომდე“ [7:68] – გვიმხელს წლების წინ დაბადებულ და აქამომდე გულითნატარებ ნადილს დიდი გრიგოლი.

ასე ეყრება საფუძველი ქართველთა მონასტერს ბალკანეთში, რომელიც ახლომდებარე სოფლის სახელწოდების გავლენით პეტრინონად იწოდა (როგორც აღნიშნულია, ეს ტოპონიმი ბულგარულ „პეტრიჩ“–იდან უნდა მომდინარეობდეს).⁴ ხოლო გარეშე ქვეყნის არმიის ყოფილ თანამებრძოლთა ქართული ერთობა ბიზანტიაში თვისობრივად ახალი ფორმით – ამჯერად სამონასტრო ძმობის სახით აგრძელებს არსებობას. ამგვარად, ქრისტიანული იმპერიის

³ ასეა იგი მოხსენიებული „ძეგლის წერის“ ხელნაწერებში [იხ. 4:256].

⁴ მონასტრის სახელწოდების თაობაზე იხ. [2:45; 7:245; 4:260; 5:108,119; 6:33].

მტერთა მმუსვრელი აბჯარასხმული მეომრები მონაზვნის კაბამოსილ ღვთის მსახურებად გარდაიქმნენ. ხმალ-შუბის ადგილი ჯვარ-სახარებად დაიკავა, ხმამალალი საომარი ყიფინა კი უფლის მიმართ აღვლენილმა ჩუმმა ლოცვა-ვედრებამ შეცვალა. მაგრამ, რაც მთავარია, უცხო მხარეში სხვადასხვა გარემოებისგან გადახვეწილ ქართველთა ერთობა საუკუნოდ იქნა შენარჩუნებული: მათი ძვლებიც კი დღემდე გვერდი-გვერდ განისვენებენ. ასე აღასრულა გულის ნადილი გრიგოლმა.

მონასტერი რომ საგანგებოდ მხოლოდ ქართველთათვის იქმნება, ამას არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს მისი დამაარსებელი მონასტრის ხელით წეს-განგებაში ანუ ტიპიკონში, რომელსაც მონასტერს მშენებლობის დასრულებისთანავე თავად უდგენს (1083 წ.). საგულისხმოა, რომ ტიპიკონი ბერძნულის გარდა ქართულადაც იწერება, რასაც თანამემამულეთა დიდი მოამაგე გრიგოლი ასე განმარტავს: „*მონაზონნი მონასტრისა ჩემისანი გუარად ქართველნი არიან და არა იციან ბერძნული წარკითხვა. და ჯერ-არს, რათა ქართულად დაწერილსა აღმოიკითხვიდენ და გულისხმა-ჰყოფდნენ აღწერილსა განსაზღვრებულსა ამას შინა ტიპიკონსა*“ [7:126]. გარდა ამისა, გრიგოლ ბაკურიანის-ძე წინასწარ იჭერს თადარიგს, რათა მონასტერი ყოველთვის ქართველთა ხელში იყოს, უცხო თესლნი მათ მომავალშიც არ შეეცილოთ და ამისათვის საგანგებოდ ბრძანებს, რომ მონასტერში მხოლოდ ერთი ბერძენი შეიძლება იყოს და ისიც მწერალი, რათა საერო ხელისუფლებასა და მონასტერს შორის მიწერ-მოწერა წარმართოსო. აქ ბერძენი ხუცესის მოღვაწეობას კი წეს-განგება გადაჭრით კრძალავდა.

ქართულ მონასტერთა წეს-განგებათა შორის პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი ერთადერთი სასიამოვნო გამონაკლისია, რომელიც სასწაულებრივად გადაურჩა ჟამთა სიავეს და სრული სახით მოაღწია დღევანდლამდე.

დიდმა მხედართმთავარმა წინასწარ იზრუნა მონასტრის ეკონომიკურ უზრუნველსაყოფადაც: მისთვის ააგო სასწიწლო (საავადმყოფო), სამი სასტუმრო სხვადასხვა ადგილას, შესწირა ადგილ-მამულები, სოფლები თავის გლეხებითურთ, საძოვრები, ვენახები, სახნავ-სათესი, ციხე-სიმაგრენი, ტყეები, ტბა თევზის საჭერად, ნისქელი; მოამარაგა ქართული საღვთისმსახურებო წიგნებითაც და ძვირფასად შემკული საეკლესიო ნივთებით.

„*პატრიოსანი ესე მონასტერი ქართველთაჲ*“ ღვთისმშობლის სახლზე დაარსებულა. მთავარი ტაძარიც მის სახელზე აუგიათ. ორი სხვა ეკლესია იოანე ნათლისმცემლისა და წმ. გიორგის სახელობის ყოფილა. ეკლესიათა გარდა აუგიათ საცხოვრებელი სენაკები, სხვადასხვა

დანიშნულების სათავსოები. მოკლედ, განუმზადებიათ ყველაფერი, რაც სამონასტრო მეურნეობას სჭირდებოდა სრულად ფუნქციონირებისათვის. გრიგოლმა ოდნავ მოშორებით ფერდობზე კიდევ ერთი შენობა ააგო. იგი ორსართულიანია. მეორე სართულზე ეკლესიაა, პირველზე კი – საძვალე. ეს ერთადერთი შენობაა მონასტერში, რომელმაც პირვანდელი სახით მოაღწია დღემდე. მასში შემორჩენილ უძველეს ფრესკებზე კარგად შეიმჩნევა ქტიტორების, მონასტრის დამაარსებლისა და მისი ძმის, აბაზ მაგისტროსის გამოსახულებები.

გრიგოლ ბაკურიანის-ძეს ქართველი ყმანვილების აღზრდა-განათლებისა და მათი მომავალი კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობისათვის მომზადების მიზნით პეტრიწონის მონასტერში სასწავლებელიც (სემინარია) დაუარსებია. სემინარიაში ახალგაზრდების მოსამზადებლად შერჩეული იყო ერთი, სათნო თვისებებით შემკული, კარგად განსწავლული ბერი. სემინარიას რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, იქიდანაც ჩანს, რომ მონაფენი მთლიანად მონასტრის კმაყოფაზე იყვნენ: კვებავდა და მოსავდა მათ მონასტერი, ხოლო მასწავლებლის გასამრჯელო მონასტრის შემოსავლიდან გამოიყოფოდა.

მთელი ცხოვრება უცხო ქვეყანაში მოღვაწე დიდი ქართველი სამშობლოს წინაშეც ვალმოხდელი წავიდა წუთისოფლიდან. ქართველთა სავანის დარსებიდან მოკლე ხანში გრიგოლ ბაკურიანის-ძე ბიზანტიის მტრებთან, პაჭანიკებთან ბრძოლაში დაიღუპა (1086 წ.). მისი ანდერძის თანახმად, თავისსავე მონასტრის საძვალეში დაკრძალეს, სადაც ცოტა ხნით ადრე თვითონვე დაესვენებინა თავისი უმცროსი ძმა – აბაზა.

სახელგანთქმული მხედართმთავარი, რომელმაც მთელი თავისი შემართება მოახმარა ბიზანტიის იმპერიის სამხედრო ძლიერებას, მოიპოვა ყველა სამხედრო წოდება თუ ტიტული, სახელი და დიდება, რაც შეიძლებოდა სამხედრო პირს მოეპოვებინა იმპერიაში და ბიზანტიის წინაშე მხედრული ვალის აღსრულებას სიცოცხლეს გმირულად შესწირა, სიამაყით აცხადებს: *„ვინაიდან ქართველნი ვართ ნათესავით მკნენი და მკედრობით აღზრდილნი და მარადის ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩვეულნი ვიდრელა-იგი სოფელსა შინა ვიყვენით, და მოსრულ ვართ ან სამონაზუნოსა ამას წესსა და გარეგან ქალაქისა ქრს ყოფა. ჩუენი, შორს სოფელთაგან და მსოფლიოთა“* [7:62].

გრიგოლ ბაკურიანის-ძის დაარსებული პეტრიწონის ქართველთა მონასტერი საუკუნეთა განმავლობაში ქართული კულტურის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა საზღვარგარეთ. უცხოეთის სხვა ქართულ სასულიერო სავანეთა მსგავსად, აქაც ცხოველი მთარგმნელო-

ბით-შემოქმედებითი მოღვაწეობა ჩქეფდა. რაც დიდ როლს ასრულებდა მდიდარი ქართული და ბიზანტიური მნიგნობრობის დაახლოების და საერთოდ, ამ ორი დიდი ქრისტიანული კულტურის თანაზიარობის საქმეში. „აი, ეს პეტრიწონის მონასტერი იქცა ერთ-ერთ უმთავრეს ცენტრად ჩვენი მწერლობისა, განსაკუთრებით მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში. აქ დამუშავდა განსაკუთრებული სალიტერატურო სკოლა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ პეტრიწონულ სკოლას. საგანგებო ყურადღება ამ სკოლაში მიქცეული ჰქონდა განყენებული დოგმატიკური და ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა დამუშავებას, რამაც ხელი შეუწყო ქართული ფილოსოფიური ენისა და ტერმინოლოგიის შექმნას“ – ასე აღნიშნავდა მის კულტურულ მნიშვნელობას კ. კეკელიძე [2:46]. „პეტრიწონის ლიტერატურულ-ფილოსოფიურმა სკოლამ კიდევ უფრო დაუახლოვა ქართული ლიტერატურა ბიზანტიურს, დოგმატიკურ-ფილოსოფიური წიგნების თარგმნითა და კომენტირებით დიდად შეუწყო ხელი ქართული აზროვნების განვითარებას“ – წერდა ლ. მენაბდე [4:271]. პეტრიწონის მონასტრის როლი არცთუ უმნიშვნელო ყოფილა ბულგარეთის ისტორიისათვისაც და ეს აღნიშნულიცაა იქაურ ისტორიოგრაფიაში [9:15].

ბულგარეთში დღეს პეტრიწონის მონასტერი ახლომდებარე სოფლის სახელწოდებით – ბაჩკოვოს მონასტრის სახელით არის ცნობილი და მდებარეობს ბულგარეთის ქ. პლოვდივიდან 30-იოდე კმ-ის დაშორებით, მდინარე ასენიცის წარმტაც ხეობაში. აქ ქართველთა ღვაწლი დღემდე ახსოვთ და აფასებენ. იგივე ღვაწლს, სახელოვან წინაპართაგან ქმნილს, კი თითქმის ათასი წლის შემდეგ კვლავაც მოჰყავს ამ წმინდა ალაგს მომლოცველნი საქართველოდან და ამ დროს ქართველთა ხელით ისევ ინთება მონასტერში სანთელი და ტაძრის კედლებს კვლავ ეახლება ქართული ბგერები, ლოცვისას წარმოთქმული, დიდი გრიგოლის და აქ განსვენებულ მის თანამოღვაწეთა სულთა საოხად. ამინ!

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. კახაძე, ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, თბ. 1954
2. კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ. 1954
3. ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ. 1969
4. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ. 1980
5. რ. სირაძე, ბულგარულ-ქართულ-ბიზანტიურ ურთიერთობათა ისტორიიდან, „ცისკარი“, 1974, №10
6. ა. ურუშაძე, ქართული კულტურის კერა ბულგარეთში, თბ. 1969
7. აკ. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი (ტიპიკონის ქართული რედაქცია), თბ. 1971
8. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ. 1955
9. А. Василиев, Бачковски манастир, София, 1971